პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის

სტრატეგია

სარჩევი

I. შესავალი **6**

II. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მისია, ორგანიზაციული ღირებულებები **8**

III. სტრატეგიული ამოცანები **10**

ამოცანა 1. ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შეფასება და კანონიერების შესწავლა 10

ამოცანა 2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და იმპლემენტაცია 13

ამოცანა 3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამსახურის საქმიანობისა და მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. სამსახურისადმი ნდობის გაზრდა 15

ამოცანა 4. სამსახურის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენება და ინსტიტუციური განვითარება 16

ამოცანა 5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება 16

I. შესავალი

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით[1], ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[2], „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენციით[3] და „ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით“ მისი დამატებითი ოქმით[4], „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით[5] და პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური ფუნქციონირებით.

თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით იქმნება და ვითარდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც იზიარებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“General Data Protection Regulation”)[6] ღირებულებებსა და პრინციპებს. კანონის იმპლემენტაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი და საზედამხედველო ორგანოს საქმიანობაში დამკვიდრება.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგიული ხედვა და პრიორიტეტული ამოცანები, რაც ეფუძნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ძირეულ პრინციპებს,

---

[1] მუხლი 15, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

[2] მუხლი 8, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950.

[3] Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Council of Europe, European Treaty Series No. 108, Strasbourg, 28/01/1980.

[4] Additional Protocol to the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data regarding supervisory authorities and transborder data flows, Council of Europe, European Treaty Series No. 181, Strasbourg, 8/11/2001.

[5] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[6] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016, 1–88.

ღირებულებებს და მიზნად ისახავს ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება-განმტკიცებას.

- *სტრატეგიული ამოცანები და მიზნები:*

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგია ითვალისწინებს ოთხ ძირითად ამოცანას:

— *პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კონტროლი:* პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის გაძლიერება პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფით;

— *საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურისა და ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირება პერსონალური მონაცემების, მათი დაცვის საშუალებებისა და მნიშვნელობის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ცნობადობის გაზრდა:* პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება და მონაცემთა დაცვის უფლების ეფექტიანი უზრუნველყოფის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა;

— *პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო, მათ შორის, პრევენციული მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი გამოყენება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება:* სამსახურის უწყვეტ ინსტიტუციურ განვითარებასა და ქვეყანაში რეგიონული წარმომადგენლობის გაფართოების გზით, მისი მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

— *ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან, ევროკავშირის დარგობრივ ინსტიტუციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება:* საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და მიდგომების სამსახურის საქმიანობაში დანერგვა.

- *სტრატეგიული ამოცანების შესრულების ძირითადი მაჩვენებლები:*

სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში, განსაზღვრულია სამსახურის საქმიანობის განზოგადებული კონცეფცია და საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა ფარგლებში განხორციელებული

აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია აისახება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალურ და ყოველწლიურ ანგარიშებში, შემდეგი ინდიკატორების გათვალისწინებით:

— პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის კანონიერების შესწავლის თაობაზე კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემი;
— პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული, ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მომზადებული და გამოცემული სახელმძღვანელო რეკომენდაციები;
— საჯარო დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ მომზადებული დასკვნები და გაცემული რეკომენდაციები;
— სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაციები;
— პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების შესწავლის შედეგები;
— სამსახურის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანობა და რეგიონული წარმომადგენლობის გაფართოება;
— სამსახურის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.

II. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მისია, ორგანიზაციული ღირებულებები

- *მისია*

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისა და აღსრულების უზრუნველყოფა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება, საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პატივისცემის კულტურის დამკვიდრება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სამსახური მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და საუკეთესო პრაქტიკის საქმიანობაში იმპლემენტაციას.

- *ღირებულებები*

პერსონალურ მონაცემთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კერძო თუ საჯარო სექტორის წარმომადგენელთა, სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილებას ახორციელებს მიუკერძოებლად და ობიექტურად, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას, კანონის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შედეგად, ევროპული ღირებულებების მხარდაჭერის გაგრძელება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული გარანტიების განმტკიცება წარმოადგენს.

სამსახურის საქმიანობა ემყარება შემდეგ ღირებულებებსა და პრინციპებს:

— *კანონიერება*

სამსახური მოქმედებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს ემყარება.

— *ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა*

უფლებამოსილების განხორციელებისას, სამსახური პატივს სცემს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თუ განხორციელებული ქმედება შეესაბამება კანონს.

— *დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი*

სამსახურის თანამშრომელი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. სამსახურის თანამშრომელს უფლება არა აქვს, საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის გამოიყენოს.

— *ობიექტურობა და მიუკერძოებლობა*

საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, სამსახურის თანამშრომელი ობიექტური, მიუკერძოებელია და ხელმძღვანელობს კანონისა და ლეგიტიმური საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

— *პროფესიონალიზმი*

სამსახურის თანამშრომელი ხელმძღვანელობს პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ლეგიტიმური საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე.

— *საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა*

სამსახურის თანამშრომელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს საიდუმლოებისა და კონფიდენციალობის სრული დაცვით.

სამსახური საქმიანობს გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, რაც აისახება, ერთი მხრივ, საზოგადოების, დაინტერესებულ პირთა წინაშე სამსახურის პროაქტიულ და პერიოდულ ანგარიშვალდებულებაში, ხოლო მეორე მხრივ — სამსახურის მიმართ საზოგადოების ინსტიტუციური ნდობის ამაღლება.

III. სტრატეგიული ამოცანები

ამოცანა 1. ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შეფასება და კანონიერების შესწავლა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შეისწავლის საჯარო და კერძო სექტორის, სამართალდამცავ ორგანოთა მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, როგორც საკუთარი ინიციატივით — გეგმური ინსპექტირების, ისევე დაინტერესებული პირების შეტყობინებისა და მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე — არაგეგმური ინსპექტირების ფარგლებში. სამსახური მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის დროს ორიენტირებულია მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებასა და სამართალდარღვევათა პრევენციაზე, სამართალდარღვევათა განმაპირობებელი გარემოებების იდენტიფიცირებასა და მონაცემთა დამუშავების პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე, არაკანონიერი დამუშავების ფაქტებზე რეაგირებისას სამსახური ადგენს სამართალდარღვევის ოქმს და, რიგ შემთხვევებში, გასცემს რეკომენდაციებსა და შესასრულებლად სავალდებულო დავალებებს. უმნიშვნელო გადაცდომის აღმოჩენისას, სამსახური აგრეთვე უფლებამოსილია სამართალდამრღვევს გამოუცხადოს შენიშვნა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევისა და პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების

მიზნით, სამსახური, მის მიერ შემუშავებული გეგმური ინსპექტირების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ავლენს ისეთ სფეროებს/პროცესებს, სადაც მაღალია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ალბათობა. აღნიშნულის საფუძველზე კი წლიურად შეიმუშავებს გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაცემთა დამუშავების პროცესების მრავალფეროვნების, დინამიურობისა და კომპლექსურობის პირობებში სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობასა და თანმიმდევრულობას. სამსახურის პრაქტიკისა და წარმოებული წლიური სტატისტიკის ანალიზზე დაყრდნობით გამოვლენილი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების შედეგად, სამსახური ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმურ შემოწმებებს, რომელთა შესწავლის შედეგები აისახება თემატურ სახელმძღვანელო რეკომენდაციებსა და ანგარიშებში. ამავდროულად, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების ეს მექანიზმი, ინსპექტირებული ობიექტების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს იმავე სექტორში მონაცემთა დამუშავების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და ემსახურება სამართალდარღვევათა პრევენციის მიზანს.

სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საგამოძიებო და ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი წარმოადგენს. სამსახური ზედამხედველობას უწევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, ამავე კოდექსის XVI[1] თავით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ფარგლებში. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მიზნით, სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება ასეთი მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლოს განჩინებები, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე პროკურორის დადგენილებების რეკვიზიტები, სარეზოლუციო ნაწილი და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები. სამსახური ასევე იღებს შეტყობინებებს, რომლებიც ასახავს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემას სამართალდამცავი ორგანოებისთვის. სამსახური ამოწმებს მიღებულ დოკუმენტებს, ადარებს ელექტრონულ სისტემებში ასახულ ინფორმაციას, დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები შეაქვს ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის შიდა ელექტრონულ სისტემაში. ფარული საგამოძიებო მოქმედების — სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონიტორინგისთვის, სამსახური იყენებს კონტროლის ელექტრონულ და სპეციალურ ელექტრონულ სისტემებს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული

აქტივობების კონტროლისათვის იყენებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს სხვადასხვა პრევენციულ ღონისძიებას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერად წარმართვის მიზნებისათვის, მათ შორის, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავების პროცესების დაწყებამდე, წინასწარ, საკონსულტაციო რეჟიმში ერთვება საკოორდინაციო ჯგუფების საქმიანობაში, აძლევს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შესაბამის რეკომენდაციებს, უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ექსპერტიზას, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, კამპანიებსა და ტრენინგებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესაფასებლად აწარმოებს შესაბამის კვლევებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო მითითებებს ამავდროულად ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მდგომარეობის თვალსაჩინოებისთვის ამზადებს სპეციალურ და წლიურ ანგარიშებს.

სამსახურის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევისა და პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფის, ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, პრიორიტეტულად მიიჩნევა:

- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების, ფიზიკური პირებისა და სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის (ინსპექტირების) პროცედურასთან დაკავშირებით შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწა;
- მონაცემთა სუბიექტის განცხადებების განხილვისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის (ინსპექტირების) სტანდარტის დახვეწა;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის (ინსპექტირების) პროცესში განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტების (არასრულწლოვნები, შშმ პირები, თავშესაფრის მაძიებლები, ხანდაზმულები, თავისუფლებააღკვეთილი პირები და სხვა) დაცვის შესაბამისი გარანტიების ამაღლება და მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად, სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადება;
- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაწეული კონსულტაციების მექანიზმის ანალიზი და გაუმჯობესება;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადება და პერიოდული გამოქვეყნება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის კანონიერების შესწავლის თაობაზე სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის დახვეწა;
- საგამოძიებო მოქმედებების, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლთან დაკავშირებით სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის დახვეწა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუციური როლის მხარდაჭერა;
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) დროული ინფორმირების მექანიზმების დახვეწა.

ამოცანა 2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და იმპლემენტაცია

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესების და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2023 წლის 14 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. იგი ითვალისწინებს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა“ და „ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დირექტივა კომპეტენტური ორგანოების მიერ დანაშაულების პრევენციის, გამოძიების, დადგენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის, ან სასჯელთა აღსრულების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის, მონაცემთა თავისუფალი მიმოცვლისა და საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“[7] ღირებულებებს, რომლის შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო დონეზე იმპლემენტაციის პროცესი გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის აქტიურ როლს საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესწავლის, ანალიზისა და პრაქტიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების მაღალ სტანდარტებს, უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების, მათ შორის, არასრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის

[7] Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA.

ეფექტიან საკანონმდებლო მექანიზმს და განსაზღვრავს დამატებით ვალდებულებებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის. კანონი ითვალისწინებს ახალ საკანონმდებლო ინსტიტუტებს (მაგალითად, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება, ინციდენტის შეტყობინება და სხვა), რომელთა იმპლემენტაციის მიზნით, სამსახური შეისწავლის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას და მოამზადებს შესაბამის სახელმძღვანელო რეკომენდაციებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და განსაკუთრებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის მხარდაჭერისთვის პრიორიტეტულია:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო მოწესრიგების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, პერიოდული ღონისძიებების გამართვა და კონსულტაციების გაწევა;
- სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების თაობაზე სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარების მომზადება;
- საერთაშორისო დონეზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს სწრაფი და მუდმივი განვითარების პარალელურად საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და სამსახურის საქმიანობაში დანერგვა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის მხარდაჭერა;
- მონაცემთა დამუშავების პროცესების ახალ კანონთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად საკონსულტაციო ხასიათის მომართვიანობაზე ეფექტიანი რეაგირება;
- 2024 წლის 1 მარტის შემდეგ შესწავლილი მონაცემთა დამუშავების პროცესების, გამოვლენილი გამოწვევებისა და საპასუხო მოქმედებების ანალიზი, განზოგადება და რეაგირების მექანიზმების დახვეწა;
- კანონის ნორმათა განმარტება და პრაქტიკაში მათი სწორი ინტერპრეტაციების დამკვიდრება;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის პროცესსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე სამსახურის სპეციალური ანგარიშების მომზადება.

ამოცანა 3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამსახურის საქმიანობისა და მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. სამსახურისადმი ნდობის გაზრდა

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. პერსონალური მონაცემების, მისი დაცვის საშუალებებისა და აუცილებლობის შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. მზარდი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, სამსახურისთვის პრიორიტეტულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მექანიზმებისა და სამსახურის საქმიანობის შესახებ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირებულობა ხელს შეუწყობს მათი მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებების ეფექტიან განხორციელებას. ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაცია და საჯარო ანგარიშვალდებულების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს სამსახურისადმი საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლებას.

საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის დამკვიდრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, პრიორიტეტულია:

- სამსახურის მიერ ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის დონის პერიოდული შეფასება და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ცნობიერების ამაღლება მონაცემთა სუბიექტის უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებული მექანიზმების შესახებ;
- განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტების (არასრულწლოვნები, შშმ პირები, თავშესაფრის მაძიებლები, ხანდაზმულები, თავისუფლებააღკვეთილი პირები და სხვა) ინფორმაციის მათზე მორგებული ფორმით მიწოდება;
- მონაცემთა დამუშავების პროცესის მონაწილეთა სხვადასხვა ფორმატით ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე;
- საზოგადოების ცნობიერების გაზრდის მიზნით საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, როგორც სამსახურის საქმიანობის, ასევე, მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ;
- რეგიონული არეალისა და სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა და კონკრეტული აქტივობების მისადაგება;

- საინფორმაციო მასალების გავრცელება მონაცემთა დამუშავების სფეროების მიხედვით (მაგალითად: ჯანდაცვის სფერო, საგანმანათლებლო დაწესებულებები, შშმ პირები და ა. შ.);
- მონაცემთა დამუშავების კანონიერებასთან და მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული თემატური სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადება და გავრცელება.

ამოცანა 4. სამსახურის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენება და ინსტიტუციური განვითარება

სამსახურის ინსტიტუციური განვითარება და დამოუკიდებელი საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება გულისხმობს შიდაორგანიზაციული მექანიზმების დახვეწას, სამსახურის მომსახურების სტანდარტის გაუმჯობესებასა და საზღვარგარეთის ქვეყნების კოლეგა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სათანადო მექანიზმების შემუშავებას. სამსახურის მანდატის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, შიდაორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სამსახურის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დასაქმებულთათვის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სამსახურის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებისა და ინსტიტუციური განვითარებისათვის, პრიორიტეტულია:

- შიდაორგანიზაციული მექანიზმების დახვეწისა და მომსახურების სტანდარტის გაუმჯობესების გზით სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა;
- სამსახურის ინსტიტუციური როლის გაძლიერება;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სამსახურის ფინანსური დამოუკიდებლობის და საბიუჯეტო რესურსების ზრდა;
- სამსახურის საქმიანობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვით უზრუნველყოფა.

ამოცანა 5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება

ევროინტეგრაციის გზაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და საქმიანობაში საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი

ევროკავშირის ინსტიტუციებთან თანამშრომლობა. შექმნის დღიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება, დარგობრივ სფეროში არსებულ საერთაშორისო პლატფორმებში მონაწილეობა წარმოადგენს.

ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურისა და ევროინტეგრაციის პროცესში მყოფი ქვეყნის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის ევროპული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებისათვის, აგრეთვე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით იმპლემენტაციისთვის. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური 2023 წლის ივნისიდან აქტიურად მონაწილეობს „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“European Data Protection Board”) საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით. სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“European Data Protection Supervisor”) ინსტიტუციასთან, რაც გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის პროცესში მხარდაჭერას, ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროკავშირის რეგულაციასთან დაკავშირებით კვლევით საქმიანობაში მონაწილეობას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 20 სექტემბრის №3476-XIIIმს-Xმპ დადგენილების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის განახლების პარალელურად, რეკომენდებულია სპეციალური კონსულტაციების გამართვა მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან საქართველოს მონაცემთა დაცვის ადეკვატური სტანდარტის მქონე ქვეყნად მიჩნევისთვის შესასრულებელ მოთხოვნებზე მსჯელობის დასაწყებად.

საერთაშორისო დონეზე სამსახურის წარმომადგენლობის, მაღალი ინსტიტუციური რეპუტაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების ინტერესიდან გამომდინარე, სამსახური მიზნად ისახავს მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში დაგეგმილ საერთაშორისო დონის სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობას, თანამედროვე მიდგომების მხარდაჭერასა და ინიცირებას. აღნიშნულის განხორციელების მიზნით პრიორიტეტულია:

- თანამშრომლობის გაღრმავება „მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოსთან“ (“European Data Protection Board”) და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან“ (“European Data Protection Supervisor”);

- ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან კონსულტაციების გამართვა საქართველოს მონაცემთა დაცვის ადეკვატური სტანდარტის მქონე ქვეყნად მიჩნევისთვის შესასრულებელ მოთხოვნებზე მსჯელობისათვის;
- სამსახურის წარმომადგენლობის გაძლიერება და გაფართოება საერთაშორისო პლატფორმებზე, მათ შორის, ფორუმებსა და ქსელებში;
- საზღვარგარეთის მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა დარგობრივ საკითხზე კონსულტაციის, ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებზე, სამსახურის მანდატის განხორციელების შესახებ ინფორმაციის გაზიარების, ასევე, მემორანდუმის გაფორმებისა და მის ფარგლებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით ექსპერტული მხარდაჭერის მიღება, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის კვლევასა და თანამედროვე მიდგომების სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაში იმპლემენტაციას;
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, ასევე, მათი ორგანიზება და მასპინძლობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით პერსონალური მონაცემების დაცვას და წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე სამსახურის საქმიანობას.

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010

ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge